ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3255260

ნომერი: AR1498870

თარიღი : 26.04.2017

გაცემის თარიღი : 11.05.2017

გაცნობის თარიღი : 11.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა შარდენი, #14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ზაქარეიშვილი პ/ნ 01020000591
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 65 კორ. 1 ბ. 92

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 26 აპრილის AR1498870 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში,

შარდენის ქ.N14-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ:

ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, წარმოდგენილი ესკიზი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ (დოკუმენტი №3237902) მათი გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცა უარყოფითი შეფასება ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, შარდენის ქ.N14-ს მიმდებარედ ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს –შემდეგი რეკომენდაციით: უარი ეთქვას ქ. თბილისში, შარდენის ქ. N14-ში ღია კაფეს მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს - გენგეგმა წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი სახით. სკამები და მაგიდები განთავსდეს ფასადის პარალელურად

საკითხის ხელახლა განხილვის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის გეგმა და ფოტომონტაჟი ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.